4. Р. М. Махароблидзе. «Динамика и основы расчета оптимальных параметров ручных часеборочных и подрезочных машин». Сабчота Сакартвело, Тбилиси, 1978.



УДК — 631.51

3. შირვაშვილი

ბოსილის ბაღებში ნიადაგის დამამუშავებელი გუნდანი და მასზე მომავალი  
ბაღების განვითარების უზრუნველყოფის საკითხი

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს მებაღეობა, რომელიც სოიოთხოვს დიდ დანახარჯებს, განსაკუთრებით მძიმე და შრომატევადია ხეხილის ბაღებში ნიადაგის დამუშავება. როგორც ჩვენთან ისე საზღვარგარეთ მიმდინარეობს კვლევა-ძიება ახალი კონსტრუქციებისა და მოწყობილობებისა, რომლის საფუძველზე შექმნილია ხეხილის ბაღებში მწკრივთა შორის ნიადაგდამამუშავებელი იარაღები.

ჩვენი რესპუბლიკაში პალმეტურ და შემჭიდროვებულ ბაღებში ნიადაგის დამუშავების, ხილის კრეფის და ყუთებში შემჭიდროვების და დატვირთვა-გამოტანის მექანიზაციის საკითხებზე წარმატებით მუშაობს „საქსამმესკის“ მებაღეობის მექანიზაციის ლაბორატორია ტ. შ. კ. ი. კიკაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულასაკოვან ფართობიანი 10 X 10; 8 X 8; 6 X 6 ხეხილის ბაღებში ნიადაგის დამუშავება გაძნელებულია იმის გამო, რომ ვაზრდილი მცენარის ვარჯი, საშუალებას არ იძლევა ტრაქტორის მიახლოვებისა, ხოლო ღლეისათვის შექმნილი მცენარის ძირთან მისაახლოვებელი აქტიური სამუშაო ორგანოებიანი იარაღები (ფრეზები) ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგობრივ პირობებში ვერ უზრუნველყოფენ ნიადაგის სათანადო სიღრმემდე დამუშავებას, ხოლო რაც შეეხება პასიური სამუშაო ორგანოებით ხის ძირთან ნიადაგის დამუშავებისას, აგრეგატზე ვითარდება მაბრუნე მომენტები, რომელიც უარყოფით ზეგავლენას ახდენს, როგორც აგრეგატის საექსპლუატაციო ისე შესრულებული ტექნოლოგიური პროცესის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ინფორმაციული წყაროების ანალიზისა და ჩვენ მიერ დამუშავებული გამოგონებების (საავ. მოწ.

№ 438373 და № 438375) საფუძველზე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგდამამუშავებელი მანქანა-ინსტრუმენტების კათედრაზე ჩვენ მიერ დამუშავებული იქნა ფართოორიგანი ხეხილოს ბაღებში ხის ძირთან მისაახლოებელი მოწყობილობა, რომლის ძირითადი ნაწილია ნაჩვენებია (ნახ. 1 — ხედი გრძივ ვერტიკალურ სიბრტყეში და ნახ. 2 — ხედი თარაზულ სიბრტყეში). იგი შედგება დასაშლელი ჩარჩოსაგან, რომელიც აერთიანებს სპეციალურ საკიდ ძელს (1) და მასთან სახსრულად დაკავშირებულ გრძივ გასაწევ ძელს (2), ეს ორი ძელი, მეორე მხრივ, ერთმანეთთან დაკავშირებულია ჰიდროცილინდრით (3). გასაწევი ძელის ბოლოზე მიმაგრებულია პარალელოგრამული ჩარჩო (4), რომლის განივ რეილებზე (5) მიმაგრებულია სამუშაო ორგანოების გუთნის ტანები (6), რედუქტორი (7) და წამყვანი თვალი (8), რომელიც ჭაჭვეური გადაცემით (9) დაკავშირებულია რედუქტორთან, ხოლო ეს უკანასკნელი კარდანული გადაცემით (10) უკავშირდება ტრაქტორის ძალამრთველ ლილვს. მეორე მხრივ, პარალელოგრამული ჩარჩო გრძივ ძელს უკავშირდება სარეგულაციო განბჯენი ბერკეტით (11), ხოლო ბაგირის (12) საშუალებით საკიდ ძელს.

საკიდ ძელზე მიმაგრებულია კრონშტიინები (13), რომლებშიც გავთებულია რკალური ჭრილები (14) და მათში მოძრავად მოთავსებულია გორგოლაჭები (15). ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია ტრაქტორის ქვედა წევები (16), რომელთა მეორე ბოლოები სახსრულად ჩამაგრებულია ტრაქტორის განივ ძელზე (17) მოძრავად დასმულ კრონშტიინზე (18), რომელიც, მეორე მხრივ, განივ ძელთან დაკავშირებულია ჰიდროცილინდრით (19). ეს უკანასკნელი დრეკადი მილგამტარებით (20) დაკავშირებულია ტრაქტორის ჩარჩოზე (21) მიმაგრებულ ერთკამერიან ჰიდროცილინდრებთან (22), რომელთა შტოკებზეც სახსრულად ჩამაგრებულია განივი ძელი.

პარალელოგრამულ ჩარჩოზე დამაგრებული სამუშაო ორგანოების სამუშაო პარამეტრების დაცვა ხორციელდება განმბჯენი ბერკეტის რეგულირებით, რომელიც უზრუნველყოფს პარალელოგრამული ჩარჩოს გაშლას ან დაკეცვას იმის მიხედვით, თუ როგორი კუთხითაა გაშლილი გრძივი ძელი. ეს კი საშუალებას გვაძლევს ტრაქტორის ერთსა და იმავე სწორ ხაზზე მოძრაობისას მისაახლოებელი მოწყობილობით არსებული იარაღებით დაუმუშავებელი ზოლი დავამუშაოთ 1: 2; 3 ზოლად.

იმისათვის, რომ პარალელოგრამული ჩარჩოს გაშლისა და დაკეცვისას სამუშაო ორგანოებს შორის გრძივი დაშორება იცვლებოდა, კერძოდ, მისი გაშლისას, სამუშაო ორგანოებს შორის გრძივი მანძილი მცირდება, რომ არ მოხდეს სამუშაო ორგანოებს შორის ბელტის გამოჭედვა, სასურველია გუთნის ფრთები შესრულებული იყოს ხრახნულად ან ნახევრად ხრახნულად.

აგრეგატის მდგრად მუშაობას ხელს უწყობს პარალელოგრამულ ჩაჩოზე განლაგებული წამყვანი თვალი, მაგრამ სამუშაო ორგანოების გრძივ და განივ სიბრტყეში, ტრაქტორიდან დიდი დაცილების გამოწვევაში მოსული წვეის ძალები არსებული საკიდი სისტემებით შექმნიან დიდ მამბრუნ მომენტს (განსაკუთრებით პასიურ სამუშაო ორგანოებთან გასაწვევ შექმნილობით მუშაობისას), რომელიც ართულებს აგრეგატის მართვადობის პირობას, აუარესებს ნიადაგის დამუშავების ხარისხს და აგრეგატის საექსპლუატაციო მაჩვენებლებს.

გრძივ ვერტიკალურ და თარაზულ სიბრტყეში წამყვანი თვლით აღჭურვილი სამუშაოიარაღიანი აგრეგატის წონასწორობის განტოლებებს აქვთ შემდეგი სახე: გრძივ ვერტიკალურ (XOZ) სიბრტყეში:

$$\sum X = P \cos \alpha + P_k - f N_{II} - f N_6 - R_x = 0 \quad (1)$$

$$\sum Z = P \sin \alpha - G_{II} + N_k \pm R_z = 0 \quad (2)$$

$$\begin{aligned} \sum M_A = L(N_k \pm R_z - G_{II}) + f N_{II}(h + a) + f N_6 \left( h + a - \frac{a'}{2} \right) + \\ + R_x \left( h + \frac{a}{2} \right) - P_k \left( h - \frac{d}{2} \right) = 0 \end{aligned} \quad (3)$$

ხოლო თარაზულ (XOY) სიბრტყეში:

$$\sum X = P + P_k - R_x - f R_y = 0 \quad (4)$$

$$\sum Y = R_y - N_6 = 0 \quad (5)$$

$$\sum M_A = P_k b - (R_x - R_y)(b - b') \quad (6)$$

სადა: P არის ქვედა წვევებში განვითარებული ჯამური ძალა;

$P_k$  — წამყვანი თვლის წვევის ძალა;

$N_6$  — კვლის ფიცარზე რეაქციის ძალა;

$N$  — გუთნის ტანების საყრდენ სიბრტყეზე რეაქციის ძალა;

$R$  — ბელტის მოჭრისა და გადაბრუნების წინააღობის ძალა;

$G_{II}$  — იარაღის მასა;

$N_k$  — თვალზე მოსული საყრდენი სიბრტყის რეაქციის ძალა;

$f$  — ხახუნის კოეფიციენტი ნიადაგსა და ლითონს შორის;

$L$  — იარაღზე წვევების ჩაბმის წერტილიდან ჯამური წინააღობის ძალის მოდების წერტილამდე მანძილი;

$h$  — ჩაბმის წერტილიდან იარაღის საყრდენი თვლის სიბრტყემდე მანძილი;



ქართული  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აკადემია

- $a$  — ხენის სიღრმე;
- $a'$  — ველის ფიცრის სიმაღლე;
- $d$  — თვლის დიამეტრი;

$b$  — ტრაქტორის გრძივი ღერძიდან საყრდენ წინაღობის ძალის მოდების წერტილამდე მანძილი;

$b'$  — საყრდენი თვლიდან ჩამურ წინაღობის ძალის მოდების წერტილამდე მანძილი;

$\alpha$  — წვეის P ძალის მიერ თარაზულ ( $xoy$ ) სიბრტყესთან შექმნილი კუთხე.

სამუშაო იარაღების არსებული საყიდი სისტემების კონსტრუქციები მუშაობისას ვერ უზრუნველყოფენ გრძივ ვერტიკალურ სიბრტყეში იარაღის ჩამური წინაღობის ძალის ტოლქმედის მიმართულების ცვალებადობის შესაბამისად, წვეის ძალის მიმართულების რეგულირებას რის გამოც ვიღებთ ტრაქტორის ქვედა წვეების იარაღთან შეერთების წერტილის მიმართ განვითარებულ მამბრუნ მომენტს, რომელიც იწვევს სამუშაო ორგანოების არათანაბარ სიღრმეზე სვლას. ამ მომენტის მნიშვნელობა გამოითვლება შემდეგი ტოლობით:

$$M = [P \sin \alpha - R \sin(\alpha \pm \Delta \alpha)] L - P \cos \alpha h + F \cos(\alpha \pm \Delta \alpha) \cdot h + \alpha \pm \Delta h \quad (7)$$

სადაც: R არის ჩამური წინაღობის ძალა;

$\Delta \alpha$  — წინაღობის ჩამური R და წვეის P ძალების მოქმედების ხაზებს შორის შექმნილი კუთხე;

$\Delta h$  — P და R ძალების მოქმედების ხაზების საყრდენ სიბრტყესთან განკვეთისას გრძივი დაშორება.

მე-7 ტოლობით გამოთვლილი მომენტი მოქმედებს, როგორც იარაღზე, ისე ტრაქტორის წვეებზე ტრაქტორთან ჩაბმის წერტილის მიმართ და თუ მათზე მოქმედი ცილინდრი „მცურავ“ მდგომარეობაშია, მაშინ ჩვენ მიერ დამუშავებული იარაღის საყიდი სისტემისას, იგი იწვევს ტრაქტორის ქვედა წვეების მდგომარეობის ავტომატურ რეგულირებას კრონშტეინების რკალურ ჭრილში ისე, რომ იარაღის ჩამური წინაღობის ძალის ტოლქმედის მიმართულების თანხვედნილია იარაღზე მოდებული წვეის ძალა, რაც იცავს ტექნოლოგიური პროცესის შესრულებისას სამუშაო ორგანოების თანაბარ სიღრმეზე სვლას.

თარაზულ ( $xoy$ ) სიბრტყეში აგრეგატის სწორხაზოვანი მოძრაობისათვის საჭიროა ტრაქტორის წამყვანი ნაწილის ორივე მხარეზე მოდიოდენ თანაბარი წინააღმდეგობის ძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრაქტორის ნაკლებად დატვირთული მხარის წამყვანი ნაწილი იწვევს აცურებას (ბუქსაობას).

ჩვენ მიერ დამუშავებული ტრაქტორის საკიდი მექანიზმი ცვალებადობის შესაბამისად ქვედა წვეების ტრაქტორთან მიერთების წერტილის ავტომატურ გადაადგილებას ისე, რომ ტრაქტორის ორივე მხარის წამბარის წინააღმდეგობა განვითარებული წინააღმდეგობის ძალები მუდამ თანაბროლია, რაც წვეების მიერ დამუშავებულ კონსტრუქციაში შემდეგნაირად ხორციელდება: როდესაც იცვლება იარაღის ჯამური წინააღმდეგობის ძალის ტოლქმედის მიმართულება თარაზულ (xoy) სიბრტყეში, შესაბამის მხარეს ერთკამერიან ცილინდრის მუშა არეში იზრდება წნევა, რაც ელასტიკური მილით გადაეცემა სარეგულაციო ცილინდრს, რომელიც შტოკით ტრაქტორის განივ ძეგლზე გადაადგილებს წვეების ჩაბმის კრონშტეინს, სანამ ორივე მხარეს ერთკამერიან ცილინდრის მუშა სივრცეებში არ შეიქმნება თანაბარი წნევები, რაც ტრაქტორის წამყვანი ნაწილის ორივე მხარეს თანაბარი წინააღმდეგობის ძალებს ავითარებს, ეს კი აღმოჩენებს ავრეგატის სწორხაზოვანი მოძრაობის პირობას და გამოორიხებს ერთ-ერთი მხარის სავალი ნაწილის აცურებას.

ჩვენ მიერ დამუშავებული კონსტრუქცია, აღმოჩენებს ავრეგატის საექსპლუატაციო პირობებს, ხეხილის ბაღებში ნიადაგის დამუშავებისას ზრდის ტექნოლოგიური პროცესის ხარისხს და მწარმოებლობას.

**ლიტერატურა — Литература**

1. ი. კ. კ ა ბ ი ძ ე და სხვ. ინტენსიურ ბაღებში ნიადაგის ძირითადი დამუშავების მექანიზაციის საკითხისათვის „საქსმშესკის“ შრომები, ტ. XXII.
2. ზ. ხ ა ნ თ ა ძ ე. სას.-სამ. მანქანები (თეორია, კონსტრუქცია და გაანგარიშება), I ნაწ. 1958.
3. П. Е. Попов. Предварительные результаты испытания гусеничного пахотного агрегата со свободной навеской. Труды Азово-Черноморского института механизации с/х, вып. 21. 1970.
4. Р. С. Муфтьев. Способы соединения плуга с транспортом и энергетические показатели пахотного агрегата. Труды ВНИИ мех. и элек. с/х, т. 40, 1966.
5. В. А. Зацаринный. Исследование устойчивости хода плуга со свободной навеской в продольно-вертикальной плоскости, в агрегате с трактором кл. 1,4 т. с. Волгоград, 1973.
6. В. З. Мируашили. Устройство для соединения самоходного шасси с орудием, авт. свид. № 438375.
7. В. З. Мируашили. Механизм навески орудий на трактор, авт. свид. № 438373.

УДК 634 . 8 : 621 . 869

მ. თაფროკაძე, ბ. ბიძინაშვილი

ვახის თავისა და ზეარდითი წანაზარღვანის წასაქარალ-დამამუშავებელი და  
შემგროვებელი მანქანის შექმნისა და გამოკვლევის საკითხისათვის

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე დიდი ყურადღება დედ-  
თმო საქართველოს სოფლის მეურნეობაში მომხდარ დიდ გარდაქმნებს.

რესპუბლიკის პარტორგანიზაცია გეგმაზომიერად ახორციელებს  
ლონისძიებებს სას.-სამ. წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის და ინტენ-  
სიფიკაციის აღმავლობისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშა-  
კები ისწრაფვიან მიწათმოქმედების და მეცხოველეობის პროდუქტების  
ზრდაში თავიანთი ახალი მიღწევებით აიღონ სტარტი მეურნეობებზე ხუთ-  
წლედში, რომლის მიჯნები დასახულია სკვპ ცენტრალური კომიტეტის და  
მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში.

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული  
კულტურების წარმოების გადიდების და სოფლის მეურნეობის შემდგომი  
დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

უდიდესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამ დოკუმენ-  
ტში სუბტროპიკული და სხვა სამხრეთული კულტურების წარმოების გა-  
დიდების ამოცანებთან ერთად დასახულია რესპუბლიკის მევენახეობისა და  
მეცხოველეობის იმ დარგების აღმავლობის ამოცანებიც, რომლებშიც მჭი-  
დროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული სამეურნეო-სოციალური და პო-  
ლიტიკური პრობლემები.

1980 წლის 7 ივნისს სკვპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს  
წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტე-  
ტის პირველი მდივნის ამხ. ე. შვეარდნაძის მიერ ნათლად დაისახა საქარ-  
თველოს მევენახეობის ინტენსიური განვითარების კომპლექსური პროგ-  
რამის განხორციელების ისტორიული შესაძლებლობანი.

ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი შემოსავალი წყარო მევენახეობაა- მი-  
სი ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში



30%-ზე მეტია. დასახულია ამოცანა, რომ ყურძნის წარმოება 1985 წლისათვის გაიზარდოს 54 %-ით. ეს კი მოითხოვს დამატებით 30 ათასი ან ათასი ვენახების გაშენებას.

მევენახეობის მკვეთრ აღმავლობასთან ერთად დღის წესრიგში დგას მეცხოველეობის განვითარების აქტუალური პრობლემების გადაჭრის საკითხები.

ამ საკითხის გადაჭრისათვის საჭიროა შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა, გაიზარდოს მრავალწლიანი ნათესი ბალახების წარმოება, მაგრამ მევენახეობის რაიონებში ასეთი ფართობები ძალზე მცირეა, საჭიროა რეზერვების მოძებნა და გამოყენება.

1980 წლის XX პლენუმზე აღებული იქნა დევიზი მეცხოველეობის საკვებით უზრუნველყოფისათვის, რესპუბლიკაში რეზერვების გამოძებნის და მათი ამოქმედებისა. ერთ-ერთ ასეთ რეზერვს წარმოადგენს ვაზის მწვანე წანაზარდების და განასხლავის შეგროვება, მათი გადამუშავება საკვებად.

ვაზის მოვლა-მოყვანის აგროწესებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს შორის, როგორცაა მწვანე ოპერაციები, ერთ-ერთ რთულ და შრომატევად პროცესს წარმოადგენს ვაზის თავის და გვერდების წანაზარდების წაჭრა, მათი შეგროვება და დაქუცმაცება. აღნიშნული ღონისძიება აჩქარებს მტევნების მომწიფებას და მოსავლიანობის გაზრდას, აუმჯობესებს ვაზის კვებისუნარიანობას. ხელს უწყობს აერაციას. აიოლებს ყურძნის ჭრფის პროცესს. გარდა ამისა, უნდა დავეუმალოთ ისიც, რომ ამ ანარჩენების შეგროვებით და დაქუცმაცებით მივიღებთ ცხოველთა მალალყუათიან საკვებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცემული რეკომენდაციებიდან ვიცით, მრავალი სახეობის სასოფლო-სამეურნეო ანარჩენებს შორის რაოდენობისა და ხარისხობრივი თვისებების მიხედვით, დამუშავებული და გამოყენებულია ვაზის მწვანე ოპერაციებით მიღებული საკვები მასა, რომელიც შეიცავს 0,8 საკვებ ერთეულს.

ყოველწლიურად რესპუბლიკაში ვენახებიდან შეიძლება შეგროვდეს 250 ათასი ტ მწვანე მასა, ეს კი ნიშნავს მისგან ხელოვნური შრომის გზით მიღებული იქნეს 60 ათასი ტ ვიტამინიზებული ფქვილი კომბინირებულ საკვების გამამდიდრებლად.


როგორც ჩანს, ვაზის თავის და გვერდების წანაზარდების წაჭრით, შეგროვებით და დაქუცმაცებით ორი მეტად დიდი და სასარგებლო საქმე კეთდება; სრულდება მეტად აუცილებელი აგროღონისძიება და იქმნება ცხოველთა საკვების გამამდიდრებელი საუკეთესო კომპონენტი. მაგრამ აქვე ისმის კითხვა: როგორია ამ მეტად რთული ოპერაციების არსებული მეთოდების, მექანიზმების ძიებისა და შესრულების საკითხი. როგორც ჩანს შრომები, ტ. 121, 1981.

ტარებული ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა დღეისათვის აღნიშნული ოპერაციების კომპლექსური მექანიზაცია გადაუჭრელია, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, თითქმის არ სრულდება.



აღნიშნულ საკითხებზე მუშაობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში ინსტიტუტი და წარმოება, ასევე ისეთი მოწინავე საზღვარგარეთის ქვეყნები როგორცაა, საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა და სხვა. შექმნილია ცალკეული ოპერაციების, თავების წასაჭრელი, გვერდების წასაჭრელი, ვაზის ანასხლავის ამ მხრივ დამაქუცმაცებელი მანქანები, ყველა ეს მანქანები ხასიათდება ცალმხრივობით, არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ პროცესს, ხასიათდებიან დიდი ლითონტევადობით, დაბალი შრომის ნაყოფიერებით და მოითხოვენ დიდ ენერჯიას. აღნიშნულის გამო ამ მანქანებმა დღემდე ვერ ჰპოვა წარმოებაში ფართო გამოყენება. ამიტომ დღესდღეობით ეს ოპერაციები, კერძოდ, ვაზის თავების და გვერდების წანაზარდების წაჭრა-შეგროვება ხორციელდება ხელით, ხოლო დამაქუცმაცებელი კი გადასამუშავებელ ადგილზე სტაციონარული მანქანებით.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მეთოდების და მანქანების ანალიზების საფუძველზე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსავლის ამღები და მეცხოველეობის მანქანების კათედრის გამგის პროფ. შხვაცაბაიას ხელმძღვანელობით და ამ სტატიის ავტორების უშუალო მონაწილეობით შექმნილი იქნა, ვაზის თავისა და გვერდების წანაზარდების წამჭრელ-დამაქუცმაცებელი, შემგროვებელი მანქანა (ნახ. 1 და 2).



ნახ. 1

მანქანა ასრულებს ვაზის წანაზარდების წაჭრა-დამაქუცმაცება, შეგროვების ოპერაციას. აგრეთვე დამუშავდება აღნიშნული მასის შემდგომი გადაამუშავების მექანიზებული ხაზიც, რომლის შესახებაც შემდეგ სტატიაში გვექნება ლაპარაკი.

მანქანის დანიშნულება: ვაზის თავების და გვარდების წანზარდების წამჭრელი; დამჭუცმაცებელი, შემგროვებელ მანქანის დანიშნულებაა მოახდინოს ვაზის თავის და გვარდების მწვანე ნაწილების მოჭრა, შემდეგ მისი დაჭუცმაცება 10—15 სმ სიგრძის ნაწილებად და მოჭროვის ბუნკერში და გადატვირთოს მობილურ ტრანსპორტზე, მისი შემ-



ნახ. 2

დგომი დამუშავების ადგილზე ტრანსპორტირებისათვის მანქანა განკუთვნილია სამუშაოდ 1,8 და 2,0 მ. სიგანის და 1,5—2 მ სიმაღლის მქონე შპალერის რიგთაშორისებში.

მანქანის კონსტრუქცია: მანქანა შედგება შემდეგი ძირითადი კვანძებისაგან (ნახ. 3. 4.): ჩარჩოსაგან (1) (ნახ. 1,2), ჰორიზონტალური (2) და ვერტიკალური (3) დანებისაგან, ტარაბუასაგან (4), მიმღები (5) და შემგროვებელი (11) ბუნკერისაგან, გადმოწყრელებისაგან (12), ყლორტების ამწეებისაგან (5), ჩამორევისა (6) და მიმწოდებელი (6) ლილვაკებისაგან, დამჭუცმაცებელი დოლისაგან (7), მიმმართველი (8) და გადამყრელი ღარებისაგან (9), აგრეთვე ავტომატური ჰიდრომოთვალთვალე სისტემისაგან (10).

მანქანა კონსტრუქციულად შესრულებულია შემდეგი თანმიმდევრობით: ორი შეწყვილებული II-ს მაგვარ ჩარჩოზე (1), ზედა ნაწილში მარჯვენა და მარცხენა მხარეს ჩამაგრებულია ჰორიზონტალური ცელისმაგვარი დანები (2), მათი დაყენების მაქსიმალური სიმაღლე 1,7 მეტრია. ამავე ჩარჩოზე ვერტიკალურად დაყენებულია შესაბამისად მარჯვნივ და მარცხ-

ნივ ორი ვერტიკალური ცელისმაგვარი დანები (3), ჰორიზონტალური დანების თავზე მოძრაობს მაკობირებელი ტარაბუა (4), რომელიც უზრუნველყოფს, გაზრდილი ვაზის თავის წანაზარდების მიწოდებას ვერტიკალური დანების გასწვრივ ზემოდან ქვემოთ მახვილი დახრის დაჭრის დაჭრის შედეგად ბუჩქის გვერდით გადახრილი ყლორტამწივეები (5), რომლებიც უზრუნველყოფენ გადახრილი (დაბლა დაღუნული) ყლორტების წამოყენებას და მჭრელ პირზე მიწოდებას, მოჭრილი ღეროების მიმღებ (5) ბუნკერში გადასაყრელი ჰორიზონტალური დანის უკან პლატფორმის ვერტიკალურ კედელზე (13) დასმულ ღერძზე დაყენებულია მოჭრილი ყლორტების სპეციალური გადამყრელები (12). ჩარჩოს შუა ნაწილში წინ ჩაყენებულია მიმღები ბუნკერი (5), რომლის განლაგება საშუალებას იძლევა მოჭრილი ყლორტები მთლიანად ჩაცვივდეს მასში. ბუნკერის ყველა ნაწილში მოთავსებულია ჩამორევი (6) და შემდგომ მიწოდებელი (6), ლილვაკები ჩარჩოს უკანა ნაწილში დგას დამატემაკებელი დანებიანი დოლი (7) თავისი მიმმართველი (8) და გადამყრელი ღერებით (9). ჩარჩოს გაგრძელებაზე სახსრულად დგას შემგროვებელი ბუნკერი, რომელსაც სულ ქვედა ნაწილში აქვს ჰიდროცილინდრი (14) ბუნკერის აყირაებისა და დაციოსათვის. ჰორიზონტალური მჭრელი დანების ქვეშ დაყენებულია რკინის ფოცხურა (11), რომელიც მისრიალებს, ვაზის საყრდენი ბოძების თავზე. იგი სახსრულად დაკავშირებულია ჰიდროგამანაწილებლის სარქველთან და მთლიანობაში ქმნის მოთვალთვალე სისტემას (10).

მჭრელი აპარატების მთლიანი კვანძი ტარაბუასთან და გადმომყრელთან ერთად ტელესკოპურად ზის ჩარჩოს მიმართველებში, რაც საშუალებას იძლევა მოთვალთვალე მჭიდრო სისტემის დახმარებით, აიწიოს არ დაიწიოს ვერტიკალურ სიბრტყეში საყრდენ ბოძზე მჭრელი აპარატის წამოდების თავიდან ასაცილებლად.

მანქანა მისაბმელი ცენტრალური ნაწილით ეყრდნობა ორ სავალთვალს, მანქანის მექანიზმები მოძრაობაში მოდიან ტრაქტორის გადამრთმევი ლილვიდან, სათანადო ჭაჭურის, კბილანური და ლვედური გადაცემებით. აგრეგატირდება 0,8—1,9 ტონა კლასის ტრაქტორებზე.

ტექნიკური დახასიათება

- |                          |                           |
|--------------------------|---------------------------|
| 1. ტიპი                  | მისაბმელი                 |
| 2. მჭრელი ორგანო         | სეგმენტური მჭრელი აპარატი |
| 3. დამატემაკებელი ორგანო | დანებიანი დოლი            |
| 4. მოთვალთვალე სისტემა   | ჰიდრო-მოთვალთვალე         |
| 5. მოდების განი, მ.      | 1,8—2                     |
| 6. მწარმოებლობა, ჰა      | 1,5                       |




ქვეყნული  
ბიბლიოთეკა

7. დამუშავებული რიგების რაოდენობა	650
8. მჭრელი დანების ორმაგ სვლათა რიცხვი, ბრ/წთ.	131+312
9. სამუშაო სიჩქარე, კმ/სთ	970
10. ტარაბუას ბრუნვათა რიცხვი, ბრ/წთ	8
11. მიმწოდებელი ლილვაკების დიამეტრი, მმ	4
12. ბრუნვათა რიცხვი, ბრ/წთ.	7
13. დამქუცმაცებელი დოლის ბრუნვათა რიცხვი, ბრ/წთ	0,8
14. დანების რაოდენობა	3,5
15. დოლის გამტარუნარიანობა, კმ/წმ.	0,5
16. გატყორცნის მანძილი, მ	10
17. მიმღები ბუნკერის მოცულობა, მ <sup>3</sup>	1
18. შემგროვებელი ბუნკერის მოცულობა, მ <sup>3</sup>	
19. გავსების დროს, სთ.	
20. საჭირო სიმძლავრე, ცძ.	
21. მომსახურე პერსონალის რ-ობა	

### ტექნოლოგიური პროცესი

მუშაობის ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად: პანქანის ტრაქტორზე მიბმის და ძალამართმევი ლილვის მიერთების შემდეგ პანქანა შედის ვაზის შპალერების დასაწყისში. ჩაირთვება პანქანა სამუშაო



ნახ. 3

მდგომარეობაში და იწყებს მოძაობას (ნახ. 5). ტარბუა (4) მიეწოდება ვაზების თავის წანაზარდებს. პორიზონტალურ დანებზე (1) ისინი მოიჭრებიან და გადაიყრებიან პლატფორმაზე (13), საიდანაც გადაიყრება ფრთოვანას (12) დახმარებით მიიმართება მიმღებ ბუნკერში (5). ყლორტანწყევების (6) დახმარებით გადაღუნული ყლორტები აცურდებიან და მიეწოდებიან დანებს, ისინიც მოიჭრებიან და იყრებიან მიმღებ ბუნკერში, სადა სხვა დარჩენილი გვერდითი წანაზარდები. გვერდითი დანების დახმარებით იჭრებიან, ვაზის ვარჯიდან (მათულიდან) 15—20 სმ სიგანეზე და იყრებიან რიგთა შორის.

მიმღებ ბუნკერში მოხვედრილი ღეროები, მიმწოდებლის და ჩამორევი ლილვაკების (6) დახმარებით მიეწოდება დასაქუცმაცებელ დოლს. სადაც ხდება მისი დაქუცმაცება 10—15 სმ სიგრძის ნაწილებად და მის მიერვე შექმნილი ჰაერის ნაკადით გადაიტყორცნება შემგროვებელ ბუნკერში (14). პორიზონტალური მჭრელი დანის ქვეშ დაყენებულია ცხაურა, რომელიც მოთვალთვალე სისტემასთან არის დაკავშირებული. იგი მიცურავს, საყრდენი ბოძების თავზე და უზრუნველყოფს მჭრელი აპარატის მოძრაობას საყრდენი ბოძების ზემოთ 5—10 სმ-ზე. იმ შემთხვევაში, თუ ბოძი ჭრის სიმაღლეზე მალაა, მაშინ ფოცხურა მოედება მას, აიწევს ზემოთ, ჩართავს ჰიდროგამანაწილებლის სარქველს და მთლიანი აპარატი აიწევა ზემოთ, გადაუვლის ბოძს და ეშვება ისევ დაყენებული ჭრის სიმაღლეზე.

ბუნკერის გავსების შემდეგ, მანქანა გამოდის საქცევის ბოლოში, ჩართავს ბუნკერის ჰიდროცილინდრს და გადაყრის აღებულ მასას, ავტომობილის ან მისაბმელის ძარაში მანქანას ემსახურება ერთი ტრაქტორისტი.

### მანქანის გამოცდის შედეგები

გურჯაანის სამეურნეობათა შორისო კ/საკვებისა და ბალახის ფქვილის საწარმოს მიერ დამზადებული იქნა აღნიშნული მანქანის საცდელი ნიმუში. გამოცდილი იქნა ახაშენის და კაჭრეთის მეურნეობის ნაკვეთებში გამოცდის დროს ძირითადად ვაკვირდებოდა მანქანის მუშაუნარიანობა, მის საიმედოობას და ვსწავლობდით ეკონომიკურ საქსპლუატაციო და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ხელით მუშაობასთან შედარებით.

როგორც პირველი და მე-2 ცხრილებიდან ჩანს, ნორმალური ჭრის დროს (მოცემულ სიმაღლეზე) ღეროების რაოდენობა 50 გრძივ მეტრზე %-ში, სრული ჭრის დროს შეადგენს საშუალო ვაზის სამი სახეობისათვის 128%, მანქანით წაჭრის დროს—137%, ნორმაზე დაბალი ჭრა ხელით ჭრის დროს—18%, ხოლო მანქანით ჭრის დროს—4%, ე. ი. სხვაობა 12%-ს შეადგენს, ხოლო ნორმაზე მაღალი ჭრის დროს სხვაობა 1%-ით, მოუჭრე-

ლი დატოვების შემთხვევაში 5%-შეადგენს სხვაობა. ხარისხობრივი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ კრა მანქანით 80% უკეთესია, ვიდრე ხელით. ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია მანქანის მაღალი მწარმოებლობა ხელთან შედარებით დაახლოებით 7,5% მეტად. მანქანის გამოყენებას შეუძლია ერთ საზომზე მოგვეცეს 840

ცხრილი 1

მაჩვენებლები	ვაზის სახეობა	ხელით წაპირილი	მანქანით წაპირილი
		ღერების რაოდ. 50 გრძ. მ-ზე, %	ღერების რაოდ. 50 გრძ. მ-ზე, %
ნორმალური კრა (მოცემულ სიმაღლეზე)	ჩინური	123	135
	ბულგარული	127	133
	რქაწითელი	133	143
კრა ნორმაზე დაბალ სიმაღლეზე	ჩინური	17	3
	ბულგარული	20	5
	რქაწითელი	18	3
კრა ნორმაზე მაღალ სიმაღლეზე	ჩინური	16	13
	ბულგარული	16	17
	რქაწითელი	8	11
კრა არ წარმოებდა	ჩინური	18	14
	ბულგარული	12	11
	რქაწითელი	7	—

ცხრილი 2

მაჩვენებლები	ხელით წაპრა	მანქანით წაპრა
	ღერების რაოდენობა 50 გრძ. მ-ზე, %	ღერების რაოდენობა 50 გრძ. მ-ზე, %
ხარისხიანი კრა	30	120
პრით გამოწ. დაზიანება.	80	15

ცხრილი 3

მაჩვენებლები	მწარმოებლობა, კა/სთ.	ხარისხი, %	ბუნკერის გასვლების დრო, წთ	მწარმოებლობა დაქუცმაცებულ მასის სახით, ტ/სთ	დანაკ., %
ხელით	0,2	92	—	—	—
მანქანით	1,5	90	30	14	5

მაჩვენებლები	მწარმოებლობა		ღირებულება		ეკონომია		შეღებულ მუშაობათა რაოდენობა	
	ჰა/სთ	ჰა/სეზონში	ჰა/მან.	მან/ტ	მ/ჰა	მ/სეზონში	მ/სეზონში	მ/სეზონში
ზელით	0,056	4,48	8,19	12,50	6,69	10		1
მანქანით	1,5	120	1,50	2,50				

ამრიგად, როგორც წინასწარი დაკვირვებების და მანქანის მუშაობის შესწავლამ გვიჩვენა, აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად მანქანას გააჩნია ნაკლოვანი მხარეებიც.

- კერძოდ: 1) კონსტრუქციული სირთულე;  
 2) ტექ. პროცესის შესრულების არასრულყოფილობა;  
 3) შედარებით დაბალი მწარმოებლობა;  
 4) დიდი ლითონტევადობა.

სწორედ მანქანის შემდგომი კვლევა წარმართული იქნება ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

### ლიტერატურა — Литература

1. შ. ლეფსიწვერიძე და სხვ. მევენახეობის სამუშაოთა მექანიზაცია, თბილისი 1970.



УДК 633 . 72 . 631 . 35

ო. თედოშვილი, რ. ქარჩავა  
ო. თედოშვილი

**სადრენაჟო არხებითა და მათ გასწვრივ მდებარე შპალერებზე ჩაის კაბებისა და  
გასხვლის მექანიზაციის საკითხისათვის**

საბჭოთა კავშირში ჩაის პლანტაციის დაახლოებით 85-ათასი ჰა ფართობი უკავია. აქედან საქართველოში სრულმოსავლიანი ფართობია 66-ათასი ჰექტარი. მე-10 ხუთწლედის ბოლოს საქართველოში მოიკრიფა და ჩაბარდა სახელმწიფოს 550 ტ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მე-11 ხუთწლედისათვის დასახულია გეგმით ჩაის წარმოება გაიზარდოს 650 ათას ტ-მდე. საქართველოში ჩაის მოვლა-მოყვანით დასაქმებულია დღეისათვის 35 საბჭოთა მეურნეობა და 570 კოლმეურნეობა, მრავალგან შექმნილია მანქანათა კომპლექსი შრომატევადი სამუშაოების შესასრულებლად.

უქანასკნელი მონაცემებით ჩაის სამექანიზაციო ფართობები ძირითადად გაშენებულია 10°-მდე დახრილ ფერდობებზე, რომელთა საერთო რაოდენობა 10-ათას ჰა-ს აღემატება. მიმართულება იქითაა, რომ მცირე მექანიზაციის გამოყენებით გაიზარდოს სამექანიზაციო ფართობები და დამატებით მცირე მექანიზაციის ქვეშ ათვისებული იქნეს 28 ათასი ჰა ჩაის პლანტაცია.


დღევანდელი მონაცემებით საქართველოში მექანიზებული წესით ჩაის ბუჩქის გასხვლა, ხარისხოვანი ფოთლის კრეფა წარმოებს 1100 ჰა-ზე. მაგრამ ამ ფართობების 10%-ზე მეტი ბუჩქის გასხვლა და კრეფა სწარმოებს ხელით და მძიმე პირობებში ან, საერთოდ არ წარმოებს, რა ფართობებია ეს? ეს გახლავთ სწორედ სადრენაჟო არხებთან და მათ გასწვრივ მდებარე შპალერები და ბუჩქები.

როგორც საპასპორტო მონაცემების შესწავლამ გვიჩვენა დღეისათვის კოლხეთის დაბლობზე, სადაც ჩაის გასხვლა და კრეფა მექანიზებული წესით წარმოებს, დრენაჟებს და მათ პირზე (გასწვრივ) მდებარე შპალერებს მთელი ფართობების 5-6 % უკავია. რაც შეადგენს 800-1000 ჰა-ს. ამას

თუ დაუშვამტებთ სხვა ჰაობიან ადგილებზე გაშენებულ ფართობებს (აფხა-  
 ზეთის ასსრ), რაც დაახლოებით 1500 ჰა-მდე აღწევს, როგორც ჩანს საგმი  
 ფართობი უკავია დრენაჲის პირას მდებარე ბუჩქებსა და შპალერებს, თუ  
 ვავითვალისწინებთ იმასაც, რომ ერთ ჰა-დან მოვლა-მუკერეცხეშეშელო  
 რთხი მუშახელი სჭირდება (ნორმალურ პლანტაციასზე) სლუფუცუფუფუცუ  
 პირებზე ბუჩქები ხასიათდებიან მაღალი განვითარებით და დრენაჲში დე-  
 წყალი, ამიტომ გამწელებულია გასხვლა და კრეფა (რადგან მუშას უხდება  
 ზელით აწეულ მდგომარეობაში დიდი დროის განმავლობაში მუშაობას,  
 შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ ფართობზე, ერთ ჰა-ს სჭირდება სულ ცოტა  
 5—6 მუშა. თუ გადავიანგარიშებთ, მაშინ 1500 ჰა-ზე საჭირო იქნება 4500  
 მუშა სეზონზე, რაც მეტად რთულია.

გამომდინარე აქედან, სადრენაჲო არხებზე და მათ გასწვრივ მდებარე  
 შპალერების გასხვლა და კრეფის მექანიზაცია მეტად საჭირო და აქტუ-  
 ლურ საკითხს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, დრენაჲების პირებზე და მათ გასწვრივ, რო-  
 გორც მობილური, ასევე მცირე მექანიზაციის გამოყენება ვერ ხერხდება,  
 ჰაობიან და ჰარბტენიან ნიადაგებზე აგროლონისძიებებით ჩაის გაშენების  
 წესით გაყვანილია წყალსაწრეტები (სადრენაჲო არხები (30—25 მეტრის  
 დაშორებით ერთმანეთისაგან) 40—50 სმ-სიღრმის და 30—40 სმ სიგანით  
 (ნახ. 1). ასეთ არხებში მობილურ მექანიზაციას მუშაობა არ შეუძლია.




ნახ. 1

არხის გასწვრივ მდებარე შპალერების გასხვლისა და საკრეფი მანქა-  
 ნების შექმნაზე მრავალი აზრი იქნა წამოყენებული. წარმოდგენილი მანქა-  
 ნების საერთო ნაკლი იყო ის, რომ მანქანებს ჩაის საკრეფი აპარატი და  
 ბუნკერი ერთ მხარეზე ჰქონდა დაკიდებული. ასეთმა მანქანებმა გამოყენება  
 ვერ ჰპოვა იმის გამო, რომ არამდგრადია, ამავე დროს თელბზე მოსული  
 დიდი დაწოლის გამო რიგთაშორის ნიადაგი სწრაფად იტკეპნება, ჩნდება  
 ღრმა კვალები და ზიანდება ბუჩქების ფესვები, ამავე დროს წარმოიშობა  
 შპალერების არხისაკენ გადაწევის და მანქანის გადაბრუნების საშიშროება.  
 აღნიშნული საკითხების გადასაწყვეტად ჩვენ მიერ დაწყებული იქნა

მუშაობა 1976 წლიდან მოსავლის ამღები მანქანების კათედრაზე პროფ. შვეცაბაიას ხელმძღვანელობით, წლების მანძილზე მუშაობის და დაკვირვების საფუძველზე ინჯირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახელისნომრი იაუის საკრეფი მანქანა 4A-900-ის საკრეფი აპარატის და T1-16MMY მანქანის ბაზაზე შექმნილი იქნა — სადრენაჟო არხებთან და მათ გასწვრივ მდებარე ბუჩქების სასხლავი და საკრეფი მანქანა (4A-900D).

1. მანქანის კონსტრუქცია და მუშაობის ტექნიკური პროცესი. მანქანა შედგება შასისაგან, საკრეფი (სასხლავი) აპარატისაგან, ტრანსპორტიორისაგან, საკიდი მექანიზმისაგან, ბუნკერისაგან და ამძრავი მექანიზმისაგან (ნახ. 2 და 3).




ნახ. 2.

მანქანა დამონტაჟებული იქნა ორი ვარიანტით შასზე CIII-8F და შასზე T-16MMY (ნახ. 2), ორივე შემთხვევაში მანქანა ნორმალურად მუშაობს. თითოეული შასის ჩარჩოს მარჯვენა ძელზე დამაგრებული იქნა მექანიკური საკიდი მექანიზმი, ისე, რომ ჩამოსაკიდი ისარის ბოლო წერტილი გაწეული იქნა შასიდან 1,5—2 მ მანძილზე, რაც უზრუნველყოფდა აპარატის დაკიდებას მეზობელ შპალერის ცენტრზე (ნახ. 3). მანქანის წონასწორობის თვალსაზრისით ბუნკერი დამონტაჟებული იქნა შასის მარცხენა ძელზე (9), რამაც საშუალება მოგვცა მანქანა ნაწილობრივ გაგვეწონასწორობინა კრეფის დასაწყისში და სრულიად ბუნკერის ნახევრად გავსების შემდეგ (მანქანის მდგრადობა საგრძნობლად ჩანს T-16MMY შასის ვარიანტში). CIII-8F-შასის გამოყენების დროს კრეფის დასაწყისში ხდება შემკიდრობული მექანიზმით შასის ოდნავ მარცხენა მხარეს გადაწევა. მო-

კრეფილი მასის ტრანსპორტაბელობისათვის საკრეფი აპარატის უკან ბუნკერის მიმართულებით. განივად დაყენებული იქნა სპეციალური ტილის, ტრანსპორტიორის (8) რომლის აძერა წარმოებდა სპეციალური ამბრავით (6) ძალამრთმევი ლილვიდან (13), კონსტრუქციის განსაკუთრებით ელასტობრისით (T-16MM4) შასის ვარიანტის დროს ხაერეფი (საქეფი) აპარატის სამუშაოდან სატრანსპორტო მდგომარეობაში გადასაყვანად და პირიქით მექანიზმი (7) შეცვლილი იქნა პილრომექანიზმით, რაც უზრუნველყოფს აგრეგატის საიმედო მუშაობას.

გასხვლის ტექნოლოგიური პროცესი მდგომარეობს შემდეგში: შასი მოძრაობს დრენაეის პირის მეზობელ რიგში (1), სასხლავი აპარატი გადაკიდებულია ისე, რომ იგი ზუსტად მოძრაობს დრენაეის პირზე მდებარე ბუჩქის ზედაპირზე (ნახ. 3). შასი გადაადგილდება და ახდენს ბუჩქის გასხვ-




ნახ. 3

ლას, განასხლავი მასალა (12) იყრება, ერთი მხრივ, ბუჩქებს შორის ნიადაგის ზედაპირზე, მეორე მხრივ, სადრენაეო არხში. კრეფის ტექნოლოგიური პროცესი მდგომარეობს შემდეგში: ანალოგიური გასხვლისას შასი მოძრაობს დრენაეის პირზე მდებარე შპალერის მეზობელ რიგში, აპარატი გადაკიდებულია და მოძრაობს დრენაეისპირა შპალერის ზედაპირზე, და ახდენს ფოთლის კრეფას. მოკრეფილი მასალა (8) ტრანსპორტიორის დახმარებით გადადის ბუნკერში (5), ბუნკერის გავსების შემდეგ მანქანა გამოდის საქევიდან და მიაჭვს მოკრეფილი მასა დასაცლელად.

შექმნილი მანქანა უნივერსალურია, იგი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც არა მარტო დრენაეების გასწვრივ მდებარე შპალერების საკრეფად, ასევე სასხლავად, არამედ ჩვეულებრივ ნორმალურ პლანტაციაში, როგორც საკრეფად, ასევე სასხლავად, მისი დაშლა და აწყობა ან გადაკეთება დიდ სირთულეს არ მოითხოვს, შასი შეიძლება ზამთრის პირობებში გამოვიყენოთ სხვა სამუშაოზე, რითაც იზრდება ტრაქტორის დატვირთვა დრენისათვის საქართველოს ჩაის ოთხ საბჭოთა მეურნეობაში—ინგირი, ზუგ-

დიდი, ზედა ეწერა და ონარია, 1976 წლიდან მუშაობს 9 მანქანა. მათი  
 მიჩვენებლები წლების მიხედვით მოტანილია 1, 2, 3 ცხრილებში



დრენაჟისპირა ბურქებზე საკრეფი მანქანებით ჩაის ხარისხოვანი ფონის უწყებანი  
 მონაცემები 1976—79 წწ. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა

წლები	მანქანის რაოდენობა	ფართობი, ჰა	მოკრეფილი მანქანით ჩაის ფონი-ლი, კგ	ღიაბარვა კ/დღე	უწყველი დღე ხელით კრეფისას	ეკონომია კ/დღე	დარიბულ ხელფასს	უწყველი ხელით კრეფისას ხელფასს	ეკონომია ხელფასს	უცნობა
1975	3	21	15000	550	8250	7700	4220	39237	35017	
1977	3	21	175000	583	8750	8167	4473	41615	37242	
1978	3	21	150000	459	4000	7541	3522	33048	34526	
1979	3	21	152000	434	6503	6174	3330	31428	28058	

ცხრილი 2

მონაცემები, ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, დრენაჟების გასწვრივ მდებარე ჩაის მწკრივების საკრეფი მანქანის შესახებ

№ რიგზე	წლები	მანქანების რაოდენობა	ფართობი, ჰა	მოკრეფილი ფონი, ტ	კ/დღე ეკონომია	ეკონომია მანუთობით
1	1978	4	82	202	9150	65821
2	1979	4	82	211,4	5501	66010

ცხრილი 3

მონაცემები ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, დრენაჟების გასწვრივ მდებარე ჩაის მწკრივების საკრეფი მანქანის შესახებ

№ რიგზე	წლები	მანქანების რაოდენობა	ფართობი, ჰა	მოკრეფილი ფონი, კგ	კ/დღე ეკონომია	ეკონომია მან
1	1978	2	20	125861	3650	59671
2	1979	2	20	120213	3400	64547
3	1980	2	20	138866	3720	62070

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, ინგირის საბჭოთა მეურნეობაში ერთი მანქანის საშუალო ეკონომიკური ეფექტიანობა ხელთან შედარებით

რებით ერთ ჰა-ზე 623 მანეთია. მთლიანად კი 4 წლის მანძილზე 3 მანქანამ 21 ჰექტარზე მოგვცა საშუალოდ 140 ათასი მანეთის ეკონომია, ხოლო სულ 9 მანქანამ 4—საბჭოთა მეურნეობაში მოგვცა მხოლოდ 120 ათასი მანეთი 50 ათას მანეთამდე ეკონომია. თუ ამას დაუმატებთ განხორციელებულ რეზილ პროდუქციაზე ხელთან შედარებით დანაკარგების შემცირებით მიღებულ ეკონომიას, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ერთ სადრენაეო არხების პირზე მდებარე შპალერების საკრეფი და სასხლავი მანქანა ხასიათდება მეტად მაღალი ეფექტიანობით.


აღინიშნულს ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მანქანას შენარჩუნებული აქვს როგორც გასხვლაზე, ისევე კრეფაზე 4A-900-ის ყველა დადებითი თვისება, საიმედოა მუშაობაში და კონსტრუქციულად მარტივია.

მანქანა სას.-სამ. მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწონებულია და მოცემულია რეკომენდაცია მისი ფართო სახალხო-სამეურნეო მასშტაბით გამოყენებისათვის.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანქანა შესწავლილია მისი მხოლოდ ეკონომიკური და საექსპლუატაციო მაჩვენებლების თვალსაზრისით და აქვს მთელი რიგი ხარვეზები და ნაკლოვანი მხარეები, მის სამეურნო ორგანოების და ტექნოლოგიური პროცესების ზუსტი შესწავლისა და დადგენისათვის საჭიროა ჩატარებული იქნეს მისი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ მანქანის როგორც საექსპლუატაციო და ხარისხობრივი მაჩვენებლები, ასევე მისი კონსტრუქციული საიმედოობა.

## ლიტერატურა — Литература

1. Н. А. Костава и др. Инструкция по уходу и эксплуатации чае-сборочной машины 4 А — 900, Тбилиси, 1970.
2. Ш. Н. Кереселидзе. Инструкция по уходу и эксплуатации чае-сборочной машины, «Сакартвело», Тбилиси, 1970.
3. თ. თედორაძე და სხვ. ჩაის საკრეფი მანქანა 4A-900-ის საკრეფო აპარატის რეგულირების წესები, თბილისი, 1977.



УДК 633.72 631.35


ბ. ხომასურიძე

ხელით სასხლავი პნევმოამქრავიანი აპარატის უზრუნველყოფის კირითადაც  
აპარატბრუნვის განსაზღვრა

სამთო მიწათმოქმედების პირობებში ჩაის პლანტაციებში, რომლებიც გაშენებულია ჰადრაკული ფორმით, მცირე კონტურებით, აგრეთვე სწორად გილებსა და დახრილ ფერდობებზე გაშენებულ საგაზონო კულტურების სხვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მექანიზებული ხელის სასხლავი მანქანების გამოყენებას.

ამჟამად ცნობილია ჩაის სასხლავად გამოყენებული, როგორც საზღვარგარეთის, ასევე სამამულო წარმოების შიდაწვისძრავიანი და ელექტროძრავიანი ხელის სასხლავი აპარატები.

ჩვენი აზრით, ასეთ პირობებში შიდაწვისა და ელექტროძრავის გამოყენებასთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს პნევმოამქრავი. აღ-



ნახ. 1. ხელით სასხლავი პნევმოამქრავიანი აპარატის კინემატიური სქემა.  
1—პნევმოამქრავი, 2—რედუქტორი, 4—მრუდხარა, 3—ჰერული აპარატი.


ნიშნული ძრავისათვის დამახასიათებელია კონსტრუქციის, მართვისა და ტექნომსახურების სიმარტივე, მუშაობის უსაფრთხოება მავნე გაზებისა და

ელექტროძაბვის მზობე და საიმედოობა გაზრდილი ტენიანობის პირობებში. გამოდინარე აქედან, ჩვენ მიერ, ყურადღება იქნა მიქცეული ხელსაწყოების სასხლავ აპარატებში პნევმოამპრავის გამოყენებაზე. ეს აპარატები ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე სასხლავი აპარატის ნივთიერების შეცვლის პნევმოამპრავის ენერგომომარაგების საკითხზე.

ჩვენ მიერ შექმნილია ექსპერიმენტული ნიმუში, ჩაისა და გაზონის ბუჩქების გასხვლისათვის, ხელის სასხლავი პნევმოამპრავიანი აპარატი ნახ. 1.

ექსპერიმენტული ნიმუში გამოცდილი იქნა ლაბორატორიულ და სხვადასხვა პირობებში და აჩვენა დამაკმაყოფილებელი შედეგი.

როგორც ცნობილია, პნევმოამპრავები ქარბნული წესით მზადდება და წარმოებაში იხმარება სხვადასხვა სიმძლავრის, აქვს სხვადასხვა ჰაერის ხარჯი. საჭირო სიმძლავრისა და ჰაერის ხარჯის შესარჩევად აუცილებელია ჩაისა და გაზონების ლეროების ჭრის დროს მჭრელ აპარატზე მომჭმელი ჭრის წინალობის ძალები. ამისათვის, ჩვენ მიერ, დამზადებული იქნა ელექტროტენზომეტრული სტენდი. ნახ. 2.



ნახ. 2. ელექტროტენზომეტრული სტენდის კინემატიკური სქემა.

- 1—ელექტროამპრავი, 2—ლევდური გადაცემა, 3—მრუდმზარაბარბაცა მექანიზმი, 4—მჭრელი აპარატი, 5—მიმწოდებელი ტრანსპორტიორი, 6—ტრანსპორტიორის ამპრავი და 7—ლეროების სამაგრი.

ჭრაზე ცდები ჩატარებული იქნა ჩაისა და გაზონის, იაპონური კვიდოს („ლიგვისტერუმი“) ლეროებზე სტატიკური და დინამიკური დატვირთვის შემთხვევებში. მე-3 ნახ-ზე მოცემულია ჭრის წინალობის ძალების გამოძახველი დიაგრამა.

ჩვენს მიზანს შეადგენს გადასაჭრელი ჩაის ან კვიდოს ლეროს სხვადასხვა დიამეტრების მიხედვით დავადგინოთ ჭრის წინალობის ძალის სიდიდე. ჭრის წინალობის ძალა დამოკიდებულია მრავალ ცვლელად სიდიდებზე. თუ





ზოგიერთ მათგანს მხედველობაში არ მივიღებთ, მიუხედავად ამისა ექვსი დამოკიდებულება მაინც მეტად რთულია:

$$P = f(\beta \alpha d V)$$

(1) ფორმულაში ზოგიერთ ცვალებად სიდიდეს წინასწარი ცდების საფუძველზე საუკეთესო მიჩვენებლების მიხედვით შევარჩევთ და მუდმივ სიდიდეებად დავტოვებთ. ამ მხრივ ცდების საფუძველზე, პირველ ცხრილში მოტანილია სხვადასხვა დიამეტრის ჩაისა და კვიდოს ღეროებისათვის ჭრის წინალობის ძალები, მაქსიმუმობა.

მე-2 ცხრილში მოცემულია ჩაისა და კვიდოს ღეროების ჭრის წინალობის ძალების მნიშვნელობები სტატიკურად ჭრის შემთხვევაში, როცა  $V_{\text{ვ}} \rightarrow 0$ ,  $\alpha = \alpha_1 = 0^\circ$ , ბოლო დანარჩენი პარამეტრები იგივეა, რაც პირველ შემთხვევაში.

რადგან ჭრის სახით საქმე გვაქვს მეტად რთულ პროცესთან თავისი ფიზიკური შინაარსით, როდესაც სწავლობენ ამა თუ იმ ჭრის წინალობის ძალებს, მიღებული ექსპერიმენტული შედეგებიდან, მოცემული კერძო შემთხვევისათვის, ჩვეულებრივად გამოიყავთ



ნახ. 3 ჭრის წინალობის ძალების გამომსახველი დიაგრამა.

ცხრილი 1

ჩაისა და კვიდოს ღეროების დიამეტრების მიხედვით ჭრის წინალობის ძალების მნიშვნელობები დინამიური ჭრის შემთხვევაში

აპარატის ტიპი: უთითო სემენტური  $V_{\text{სამ}} = 0,8$  მ/სეკ.  
 $\alpha = \alpha_1 = 15^\circ$   $\beta = 40^\circ$   
 $\alpha = \alpha_1 = 20^\circ$   $V_{\text{ვრ.}} = 0,7$  მ/წმ.  
 ღეროების საშუალო ტენიანობა 50—55 %

$d_{30}$	1	2	3	4	5
$P_{30}^{\text{ჩაი}}$	0,85	1,7	2,87	4,0	5,1
$P_{30}^{\text{კვიდო}}$	1,2	2,15	3,4	4,8	6,2

ემპირიული ფორმულები. ჩატარებული ცდების საფუძველზე, ჩვენს მიზანს შეადგენს დავაყაროთ ემპირიული დამოკიდებულება ჭრის წინალობის ძალასა და გადასატრევი ღეროების დიამეტრებს შორის. ამ მიზნით ჩვენს მიერ, ტ. 121, 1981.

ზნით მე-3 ნახაზიდან ჩაის ღეროს დინამიკურად კრის შემთხვევების შესაბამისი მრუდისაჲვის ვირჩევთ გაატოლოებას:

ჩაისა და კვიდოს ღეროების დიამეტრების მიხედვით კრის სიწესილობის ძალების მნიშვნელობები სტატისტიკურად კრის შემთხვევაში

$d_{\text{მმ}}$	1	2	3	4	5
$P_{\text{კრ}}^{\text{ჩაი}}$	1,9	3,71	6,34	8,89	11,53
$P_{\text{კრ}}^{\text{კვიდო}}$	3,2	4,9	7,1	9,7	12,1

$$y = ax^n \quad |2|$$

ე. ი. ჩვენს შემთხვევაში  $x = d$  და  $y = p$  (2) ფორმულის სახით, შერჩეული დამოკიდებულების შემოწმების მიზნით ვახდენთ მის გალოგარიტიმებას:

$$\lg y = \lg a + \lg x^n$$

$$\lg y = \lg a + n \lg x \quad |3|$$

(3) ტოლობიდან ჩანს, რომ თუ  $x$  და  $y$  (იგივე  $d$  და  $p$ ) აკმაყოფილებენ შერჩეულ დამოკიდებულებას (2) ფორმულის სახით, მაშინ  $\lg x$  და  $\lg y$  შორის უნდა გვექონდეს სწორხაზოვანი დამოკიდებულება. თუ ავაგებთ მე-3 ცხრილში მოყვანილ დამოკიდებულებას  $\lg x$  და  $\lg y$  შორის, მივიღებთ სწორ ხაზს.

ცხრილი 3

$x$	$y$	$\lg x$	$\lg y$
1	0,85	0	0,0706
2	1,7	0,301	0,2304
3	2,87	0,4771	0,4579
4	4,0	0,6021	0,6021
5	5,1	0,6990	0,7076

(2) განტოლების კოეფიციენტების შერჩევისათვის მე-3 ცხრილიდან ორი შესაბამისი ნებისმიერი წერტილის მიხედვით ვაღვანთ ორუცნობიან განტოლებათა სისტემას:

ერკონული  
ბიბლიოთეკა

$$\begin{cases} 0,85 = a \cdot 1^n & |4| \\ 5,1 = a \cdot 5^n & |5| \end{cases}$$

(4) განტოლებიდან  $a = 0,85$ , თუ ჩავსვამთ (5) ტოლობაში მივიღებთ:

$$\begin{aligned} 5,1 &= 0,85 \cdot 5^n; \\ 5^n &= \frac{5,1}{0,85} = 6; & 5^n &= 6. \\ n \lg 5 &= 6. \end{aligned}$$

$$n = \frac{\lg 6}{\lg 5} = \frac{0,7782}{0,699} = 1,11 \quad n = 1,11,$$

ე. ი.  $P = 0,85 \cdot d^{1,11} \quad |6|$

ჭრის წინალობის ძალის გამოსათვლელი ემპირიული (6) ფორმულის შემოწმების მიზნით ვირჩევთ ნებისმიერ დიამეტრს (მაგ,  $d = 3$  მმ) ჩაის ღეროსათვის და ვამოწმებთ:

$$\begin{aligned} P &= 0,85 \cdot 3^{1,11}, \\ \lg P &= \lg 0,85 + 1,11 \lg 3 = 0,0706 + 1,11 \cdot 0,4771, \\ \lg P &= 0,4590, & P &= 2,88. \end{aligned}$$

მიღებული სიდიდე პასუხობს ექსპერიმენტით მიღებული ჭრის წინალობის ძალის სიდიდეს და ადასტურებს შერჩეული კოეფიციენტისა და ხარისხის მაჩვენებლის სისწორეს. ანალოგიურად ვიქცევით ჭრის წინალობის განსაზღვრისათვის ღეროების სტატიკურად ჭრის შემთხვევაში.

გავიანგარიშეთ რა ჭრის წინალობის ძალები, გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია პნევმოამძრავის გამოყენება. რადგან ქარხნული წესით პნევმოამძრავები მზადდება სხვადასხვა სიმძლავრის, წონის, გაბარიტული ზომისა და ჰაერის ხარჯის, ამიტომ პნევმოამძრავის შერჩევისათვის ჩატარებული ცდების საფუძველზე შეგვიძლია განვსაზღვროთ საჭირო სიმძლავრე. ამისათვის განვსაზღვროთ აპარატის ზოგიერთი პარამეტრები:

როგორც ცნობილია, ნორმალური ჭრის აპარატებში დანის სვლა:  
 $S = t = t_0$ .

სადაც  $t_0$  არის თითებს შორის მანძილი;  
 $t$  — სეგმენტებს შორის მანძილი  
დანის სიჩქარე:

$$V_e = \omega r \quad \text{მ/წმ},$$

$$r = \frac{S}{2} = \frac{0,03}{2} = 0,025 \quad r = 0,015,$$

კუთხური სიჩქარე:

$$\omega = 2\pi n \quad 1/\text{წმ},$$

$$n = \frac{900}{60} = 15 \text{ ბრ/წმ} \quad n = 15 \text{ ბრ/წმ}.$$

$$\omega = 2 \cdot 3,14 \cdot 15 = 94,2 \text{ 1/წმ} \quad \omega = 94,2 \text{ 1/წმ}.$$

$$V_{\omega} = 94,2 \cdot 0,015 = 1,4 \text{ მ/წმ} \quad V_{\omega} = 1,4 \text{ მ/წმ},$$

მიწოდება

$$H_1 = \frac{V_{\omega}}{n/2} = \frac{0,3}{8} = 0,04 \text{ მ}. \quad H_1 = 0,04 \text{ მ}.$$

დამუშავების ფართი

$$F = B \cdot H_1 = 0,35 \text{ მ} \cdot 0,04 \text{ მ} = 0,14 \text{ მ}^2 \quad F = 0,14 \text{ მ}^2,$$

ცდებით დადგინდა, რომ 1 მ<sup>2</sup>—570 ცალი ღეროა, 0,14 მ<sup>2</sup>-ში იქნება  
570 × 0,14 ≈ 8 ღეროს,

სიმძლავრე:

$$N = \frac{P \cdot V_{\omega}}{270} = \frac{3 \cdot 8 \cdot 1,4}{270} = 0,12 \text{ ც ძ}.$$

$$N = 0,12 \text{ ც ძ} = 88,2 \text{ ვატი}.$$

განგარიშება გვიჩვენებს, რომ თუ ხელის სასხლავი აპარატის მოდების განია 0,35 მ, მისი აძვრისათვის საჭირო სიმძლავრე დაახლოებით 90 ვატს შეადგენს, რაც საშუალებას გვაძლევს შევარჩიოთ ასეთი სიმძლავრის კომპაქტური პნევმოამბრავი.

### ლიტერატურა — Литература

1. ვ. მუსხელიშვილი. ჰიდრავლიკა და სამთო მანქანების ჰიდროპნევმოამბრავი, 1972.
2. გ. გეგელიძე. ჩაის ბუჩქის ხელით სასხლავი აპარატის დამუშავება და გამოკვლევა ავტორეფერატი, 1966.
3. ი. ხმალაძე. დეკორატიული მებაღეობა, 1977.
4. გ. ქანთარია. მეჩაიეობა, 1962.
5. Р. М. Махароблидзе, Динамика и основы расчета оптимальных параметров ручных чаесборочных и подрезочных машин, 1978.
6. Л. Г. Мелькумов, А. Г. Найман, Е. К. Травкин, Автоматизация пневматического хозяйства шахт и рудников, 1977.

УДК 631.191.519.2

დ. ნატროშვილი

სათიბ-საძოვრების ბუჩქნარისაგან გასაწმენდი მანქანის მხარეა ორგანოს  
ზოგიერთი პარამეტრის გამოკვლევა

მეცხოველეობის სწრაფი ტემპით ზრდა დღის წესრიგში აყენებს საკვები ბალანსის გაზრდის საკითხს. აღსანიშნავია, რომ საკვების ძირითად სახეს უხეში საკვები წარმოადგენს, რომლის მარაგიც ძირითადად ბუნებრივი და ნათესი სათიბ-საძოვრებიდან იქმნება. ამიტომ დასახული ღონისძიების განხორციელების გამო დღის წესრიგში დგება სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების საკითხი.


